# სამშობლო

კვირა 25 ოკტომბერი. წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 206 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 206

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
არიც ტკბილია ძმობილთ, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

ფასი გაზეთის: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

25 ამა ოქტომბერს, დღით კვირას, დილის 11 საათზე, საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ნახევარი წლის თავის წირვა და პანაშვიდი გერმანელებთან ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულის, პრაპორშჩიკის

**ვახტანგ იოსების ძის ხელაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებთ და მეგობრებს მშობლები მისი იოსებ მაქსიმეს ძე და მაკრინე ოქრომჭირის ასული, და ნინო და ძმა ხელაძეები.

---

კვირას, 25 ოქტომბერს, დილის 10 საათზე საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**მარო კლიმენტის ასულის რატიანის**

სულის მოსახსენებლად, რასაც უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე გიორგი ბარსეგანის ძე რატიანი, მშობელნი—ივლიტა ტიმოთეს ასული და კლიმენტი ივანეს ძე და და და ძმა ლუსია და სამსონ არხიპოვები.


1915 წ. ოქტომბერი 25 კვირა

„ქართული დრამა“. № 13

ქალაქის თეატრი.

დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე

პიესა ცირკის ცხოვრებიდან

**ჯამბაზები.**

3 მოქმ.

ავტორი: შენტანი—მთარგმნელი: ვ. აბაშიძე.
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 2—1

ანონსი:
მზადდება
„ლიას საღამო“.
სუმბათაშვილის „ღალატი“.

## კოოპერატივების საყურადღებოთ

ვინაიდან სოფლის კოოპერატივებს არ შეუძლიათ ზოგიერთი წვრილმანი საქონელი გამოიწერონ პირდაპირ ადგილიდან, ე. ი., პირველი ხელიდან, ამისათვის ვაცნობებ კოოპერატივებს, რომ ჩემ სავაჭროში შეუძლიათ უთველგვარი **საბაკალეინო საქონელი შეიძინონ სადაფათიან ფასებში**, აგრეთვე შეუძლიათ გაიგონ ყოველივე ცნობა, როგორც საქონლის ფასებისა, აგრეთვე ფირმებისა; ამასთანავე თანაგრძნობით გავუწევთ ყოველგვარ დახმარებას რითაც კი შეგვეძლება.

5—1 **დათიკო ძებაძე.**

„სინათლის“ საზოგადოების **დედათა ქართულ სასწავლებელში** მასალები გამცთები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდი.

თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **მამზადებ მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.

**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, მარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

**ექიმი** ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თგ.

**კბილის ექიმი** რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 ოქტომბრიდან ახალი საუცხოვო პროგრამა.

**ქრონიკა გომონისა.** № 9 მიმდინარე საქმეები.

კოლოსალური სენსაცია! კოლოსალური სენსაცია!

**მილიონების გიპნოზის გავლენის ქვეშ.**

მე-11 და მე-12 სერია. 4 ნაწილათ. პერლ ვიტტის მონაწილეობით.

**ჭრუჭუნა და მაჭანკალი.** ძლიერი კომიკური სურათი.

**ანონსი:** 1) პარასკევს, 23 ოქტომბერს გაიმართება საქველმოქმედო სეანსები ახალ პროგრამით ქუთ. რეალური სასწავლ. ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ.
2) ორშაბათიდან, 26 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება სურათი: **უცოდველმა თქვენ შორის ესროლოს ქვა.** ახალი თანამედროვე დრამა 5 ნაწილათ. მოზჟუხინისა და რინდინის მონაწილეობით.

## ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში, გაიხსნება **როიალზე სწავლების კლასი.** სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს.

ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო.

ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

**დაიბეჭდა** და **იყიდება** ქუთაისში მთავრიშვილის და ამხ. და თბილისში სერ. კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში

სამსონ დათეშიძის მიერ შედგენილი

**„სახატავი ნიმუშები და ქართული დედანი“,**

ფასი 25 კაპ. მე-4-ე გამოცემა. ეს გამოცემა საკუთრებად შეძენილია მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან. 10—1

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

**„რუსეთი“ („როსსია“),**

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლოგერიძე.**

გაზეთ **„საქართველოს“** რედაქცია

აუწყებს თავის მკითხველებს, რომ 20 ოქტომბრიდან გაზეთ „საქართველო“ გამოვა **გადიდებულ ფორმატით** და უკეთეს ქაღალდზე. მოწვეულნი არიან საუკეთესო ქართველი მწერლები. გაზეთს ჰყავს მუდმივი კორესპონდენტები საქართველოს გარეთ: პარიზში (საფრანგეთში), ლონდონში (ინგლისში), პეტროგრადში, მოსკოვში, და კიევში. ადგილობრივად: ბათომში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, ართვინში, ყარსში და საქართველოს ყველა დიდ სოფლებში. განსაკუთრებული კორესპონდენტები აქვს რა-შავშეთ-იმერხევიდან და კავკასიის ბრძოლის ველიდან.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ., № 4.

1 ნოემბრიდან წლის დამლევამდი ღირს 1 მან. და 60 კაპ. 6—6


## ესეც უნდა ითქვას!

იმ დროს, როდესაც ჩვენში—საქართველოში,—არსებული ჯგუფები „ცნობილის მიმართულებისა“ ერთმანეთს ეთიშებიან და პირადი ქინიანობის გამო მზად არიან ერთმანეთს სამარე გაუთხარონ და ერთმა მეორე ანძაზე აავოს, რუსეთის სოციალისტები, ანუ, როგორც ისინი ამბობენ **„სოციალისტურ აზროვნების სხვა და სხვა მიმართულების“** მოღვაწენი კოლლექტიურის მოწოდებით მიმართავენ მთელის რუსეთის „მუშებს, გლეხებს, ხელოსნებს, ნოქრებს, ერთის სიტყვით, ყველა იმათ, ვინც ოფლითა თვისითა პურს მოიპოვებენ“ და აგონებენ რა მათ, იმ უბედურებას, რომელიც დაატყდება რუსეთს, თუ გერმანიამ გაიმარჯვა, ცრემლ მორეულის თვალებით ქადაგებენ:

თქვენი ლოზუნგი უნდა იყოს გარეშე მტრების დამარცხება. ამგვარი გამარჯვებისკენ უნდა მიილტოდეთ და ამ ლტოლვაში გათავისუფლდება და გაძლიერდება ცოცხალი ძალა ხალხისა. ამ ლოზუნგით გამსჭვალული თქვენ უნდა შეიქმნეთ ბრძენნი, ვითა გველი. მართალია, თქვენს გულში ანთია ცეცხლი კეთილშობილი აღშფოთებისა, მაგრამ თქვენს თავში უნდა მეფობდეს ცივი პოლიტიკური ანგარიში. უნდა გახსოვდეთ, რომ გადაჭარბება ზოგიერთ საქმეში უარესია, ვიდრე გულგრილათ ყოფნა.

ყოველგვარი ექსცესი იმ ჯარის ზურგს უკან, რომელიც მტერს ებრძვის, მოღალატეობას უდრის, იმიტომ, რომ იგი ხელს უწყობს გარეშე მტერს.

რასაკვირველია, ომის ქარცეცხლი რუსეთის მრეწველებს უფრო უანგაროდ ვერ გახდის, ვიდრე ისინი ომის დაწყებამდი იყვნენ. სახელმწიფო ჩვეულებისამებრ ყოველთვის დიდის სიფრთხილით და მზრუნველობით მოეკიდება კაპიტალის ინტერესებს და არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს დაქირავებული მუშის ინტერესებს. თქვენ სრულიად სამართლიანად აგდელდებით და აგაშფოთებთ ამგვარი მათი საქციელი, მაგრამ, თუ ოდესმე მოინდომებთ გაფიცვით აგოთ პასუხი მათ მოქმედებაზე, გაიხსენეთ, რომ რუსეთის თავდაცვის საქმისთვის ამგვარი თქვენი გადაწყვეტილება მავნებელია.

კერძო უნდა დაექვემდებაროს საზოგადოს. ყველა ქარხნის მუშებმა უნდა მუდამ იქონიონ მხედველობაში, რომ უდიდეს ცოდვას ჩაიდენენ, როცა პირად, კერძო ინტერესს საზოგადო ინტერესზე მაღლა დააყენებენ; არ უნდა დაივიწყოთ, რომ გერმანიის გამარჯვება საშინელ ზიანს მოუტანს მთელი რუსეთის პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას.

ტაკტიკა, რომელიც გვეუბნება: ან ყველაფერი, ან არაფერი“,—ანარქისტული ტაქტიკაა და პროლეტარიატისა და გლეხობის შეგნებულ წარმომადგენლებს სრულიად არ შეეფერება.

გერმანიის შტაბი სიხარულით მიიღებდა იმ ამბავს, რომ ზემოხსენებულ ტაკტიკას ითვისებენ ეს ელემენტები. დავარწმუნებთ, ეს შტაბი ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ჩვენში ამ ტაკტიკის მქადაგებელთ. მას სჭირია არეულობა რუსეთში, მას ჭირია გაფიცვები ინგლისში, მას სჭირია ყოველივე, რაც ხელს უწყობს მის საშხვერო პლანებს.

მაგრამ ჩვენა გვწამს—არ მოინდომებთ

გერმანიის შტაბის გახარებას. ნუ დაივიწყებთ კრილოვის სიტყვებს: „რასაც მტერი გვირჩევს, უთუოდ ცუდია“. თქვენ უნდა დაადგინოთ. რომ თქვენმა წარმომადგენლებმა მიიღონ ენერგიული მონაწილეობა ყველა დაწესებულებაში, რომელსაც ახლა მტერთან საბრძოლველათ აარსებენ. თქვენმა წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ შეძლებისდაგვარად მონაწილეობა არა მარტო სპეციალურ ტეხნიკურ დაწესებულებებში (სამხედრო სამრეწველო კომიტეტი და სხ.) რომლის მიზანიც არის ჯარის საჭიროების დაკმაყოფილება, არამედ ყოველივე საზოგადოებრივისა და პოლიტიკურ ხასიათის ორგანიზაციებშიც.

გახსოვდეთ, რომ თავისუფლებას მივაწევთ მხოლოდ ნაციონალური თავდაცვის გზით. (ხაზი ყველგან ჩვენია. რედ.)

ხელს აწერენ გ. პლეხანოვი დეიჩი ალექსანდროვი, ბახი, ბუნაკოვი, ავქსენტიევი, გორონოვი და სხვები.

ჩვენ, რომელთაც „არასოციალისტებს“ გვიწოდებენ, რომელნიც იმთავით ამ თავამდე ვფიქრობდით, რომ „თავისუფლებას მივაღწევთ მხოლოდ ნაციონალურის თავდაცვის გზით“; ჩვენ, რომელნიც წინადაც ვფიქრობდით, რომ ტაქტიკა, ან ყველაფერი ან არაფერი“ ჯერჯერობით მავნებელია რუსეთის მშრომელი ხალხისათვის; ჩვენ, რომელნიც ვქადაგობდით „შეძლების დაგვარად შეერთებული ძალით გვემოქმედნა ყოველგვარ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ხასიათის ორგანიზაციებში,— ჩვენ მეთქი—ხალხის საბოლოოთ გამარჯვებისათვის, აი ამ უტყუარ საშუალებათა აღმსარებელნი მაშინ იმ ნეტარ დროს, როცა ხალხმა გაიღვიძა და „იმედმა სასოებით ფრთა გაშალა“,—ხალხის მოღალატეებათ ჩაგვთვალეს და ყოველ გზაჯვარედინზე „ხულიგნებს“ გვიძახდენ და ყოველგვარ საშუალებას ხმარობდენ ხელი შეეშალათ მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გასამარჯვებლად მიღებულ, ტაქტიკისათვის რომ „კერძო უნდა დაექვემდებაროს საზოგადოს. ყველა—ქარხნის მუშებმა უნდა მუდამ იქონიონ მხედველობაში, რომ უდიდესს ცოდვას ჩაიდენენ, როცა პირად კერძო ინტერესებს საზოგადო ინტერესებზე მაღლა დააყენებენ“—რომ უჯერო გაფიცვები საქმისათვის ხშირად მავნებელი იყო და რომ თავში უნდა მეფობდეს ცივი პოლიტიკური ანგარიში, უნდა გვახსოვდეს, რომ გადაჭარბება ზოგიერთ საქმეში უარესია, ვიდრე გულგრილათ ყოფნა.

შეიძლება ჩვენ მაშინ ისე ლამაზათ და მკაფიოთ ვერ გამოვსთქვით ჩვენი აზრი, როგორც ახლა ამას ამბობენ რუსეთის „სოციალისტურ აზროვნების სხვა და სხვა მიმართულების“ მოღვაწენი, მაგრამ რადგანაც კარგად და ზედ მიწევნით ვიცოდით, რომ დიდი შეცდომა იყო ქადაგება: მუშა ხალხს არა ჰქონია თავისი ქვეყანაო, გაიხსენეთ ლოზუნგი: „მუშას სამშობლო არა აქვს“) რადგანაც მაშინაც ვგრძნობდით, რომ რუსეთი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანაა და შეუძლებელი, წარმოუდგენელი იყო იმის განხორციელება, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგენი მოითხოვდენ, რადგანაც ჩვენ ვიცოდით, რომ რუსეთის ხალხების ერთმანეთში გათქვეფა ნიშნავდა ჩვენ პოლიტიკურად თავის მოსპობის განზრახვას,— რადგანაც, დასასრულ, გვწამდა, რომ დამმარცხებელნი იმასაც წაგვართმევდენ, რაც მამაპაპათაგან შეგვრჩა,—„ჩვენ თავს და გულში გავამეფეთ ცივი პოლიტიკური ანგარიში და „გადაჭარბება ზოგიერთ საქმეში“ უარესად ჩავთვალეთ, ვიდრე გულგრილათ ყოფნა“. და მთელის ჩვენის არსებით ვქადაგებდით ერთის ზომიერის, რეალურის პლატფორმის გამონახვას და ამ პლატფორმით ყველა ძალების შეერთებას, ვინაიდან ხალხის უფლებათა თავდაცვის საქმისათვის ფანტაზიორობა ჩვენ მავნებლათ მიგვაჩნდა.

ჩვენ ვამბობდით: საქართველოშიც „კერძო უნდა დაექვემდებაროს საზოგადოს“. საქართველოში მარტო მუშები არ არიან, საქართველოში არის ხალხი, ქართველი ერი, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ისტორია, თავისი საკუთარი კულტურა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, თავისი საკუთარი პოლიტიკური იდეალი და მუშათა მაშინდელ პარტიას თავისი პირადი, კერძო ინტერესი საზოგადო სახალხო ინტერესისათვის უნდა დაექვემდებარებინა.

ტაქტიკა „**ან ყველაფერი, ან არაფერი**“. ერთ გვარი გატაცება, ერთგვარი ოცნება იყო (და ახლაც არის) და ასეთი ტაქტიკა მაშინაც ჩვენ მავნებლათ მივიჩნიეთ.

თქვენ კარგად გახსოვთ, რა დღეც დაგვადგა ჩვენ ამისათვის; თქვენ კარგათ იცით, როგორის თვალით გვიყურებენ დღესაც,—მაგრამ, როგორცა ხედავთ, ჩვენი მაშინდელი ტაქტიკა უფრო ჯობნებული, ჩვენ უფრო მართალი ვყოფილვართ! ვინაიდან რუსეთის საუკეთესო შვილები მხოლოდ დღეს გვირჩევენ იმას, რასაც ჩვენ ათი წლის წინათ ვქადაგებდით და მაშინ ჩვენთვის რომ დაეჯერებინათ, დღეს ჩვენ გვექნებოდა:

1) **ერობა**, ფართო ნიადაგზე
2) **ნაფიც მსაჯულთა** სასამართლო.
3) **ქართული სკოლები.**
4) **ქართული ეკლესია.**
5) **სახელი, ღირსება და პატივისცემა.**
6) **ერთობა და ძმობა.**
7) შეგვრჩებოდა ასიათასი მებრძოლი.
8) ყოფილი მუშების უმრავლესობა „ლუმპენ პროლეტარიატათ და ბოსიაკებათ“ არ გადაიქცეოდენ და სხვადასხვა და სხ. გაიხსენეთ ბათუმის ქარხნების დაკეტვა ყველა ეს რასაკვირველია, შორს არის სრულის ბედნიერებისაგან, მაგრამ მთელ რუსეთის პროლეტარიატსა და მშრომელ ხალხთან ერთად, ჩვენ ხალხსაც ცოტა რამ შეღავათი მაინც მიეცემოდა, ეცოდინებოდა: ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე, ვინ იყო მისი მომხრე და ჭირისუფალი და ისეთ დიდებულ კაცის სახელს მაინც არ გასთელავდა ფეხით, როგორიც იყო ქართველებისათვის, თუნდა, ილია ჭავჭავაძე. ეროვნული შეგნება აქამდე ოცი თაბახით წინ იქნებოდა და დღეს არ დაგვჭირდებოდა იმის ქადაგება, რაც ათი და ოცი წლის წინად უნდა გვექადაგნა—ე. ი. რომ—თავისუფლებას მივაღწევთ მხოლოდ ნაციონალურის თავ-დაცვის გზით!..

მაგრამ რაც მოხდა მოხდა! ახლა მაინც დავინახსოვოთ და ყურად ვიღოთ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ბელადთა მოწოდება—ტაქტიკა,—და ერთგულათ ვემსახუროთ მას, იმ რწმენით, რომ, როდესაც ეს ბელადები რუსეთის ხალხს მიმართავენ, გულის ხმობენ არა მარტო ველიკოროსსებს, არამედ რუსეთის ყველა ხალხებს, მხოლოდ რომელითა ნაციონალურ უფლებათა დაცვა—განვითარება და ძმური ერთობა—თანასწორობა მიანიჭებს რუსეთს გამარჯვებას.

ია.

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 22 ოქტომბერი. ოფიციალური. რიგასთან 22 ოქტ. ჩვენმა ჯარმა ცოტათი წინ წაიწია დასავლეთისკენ აკკელის ტბიდან. მთელს ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა. იაკობშტადტის რაიონში და დვინაზე მდგომარეობა უცვლელია. სვენტენის ტბის სამხრეთით, დვინსკის მიმართულებით, გერმანელებმა 22 ოქტომბერს, დღის 5 საათზე, იერიში მოიტანეს სოფ. პლატონოვკაზე. იერიში მტრისთვის დიდი ზარალით მოგერიებულ იქნა. ჯერჯერობით ბრძოლის ველზე ათასამდე მეტი გერმანელთა გვამი დავითვალეთ. შემდეგ სამხრეთით მდ. პრიპიატის რაიონამდი სიწყნარეა. რაფალოვკის დასავლეთით მდ. სტრიიზე მტერმა 21 ოქტომბერს საღამოთი იერიში მოიტანა დ. კოსტიუხნოვკიდან. ღამის განმავლობაში სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა უკუაქცია ავსტრიელები და ხელში ჩაიგდო 2 ზარბაზანი, 3 ტყვიისმფრქვეველი, 250 ჯარისკაცი, ბევრი თოფი და ტყვია-წამალი. ვოლინიის რაიონში ოლიქსინცის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა შეუტია გერმანელებს, რომელნიც ჩვენს მავთულიან ხლართებამდი მოვიდენ. შტიკით ბრძოლის შემდეგ გერმანელები უკუაქციეს და ტყვეთ დაგვრჩა 3 აფიცერი და 160 ჯარის კაცი. მდინარე სტრიპის მარჯვენა ნაპირზე გაცხარებული ბრძოლა გძელდება სემიკოვიცის რაიონში საარტილერიო ბრძოლა უწყვეტელესათ გაძლიერდა. ბალტიის ზღვაში ჩვენმა ფლოტმა სროლა აუტეხა გერმანელების პოზიციებს შლოკთან.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 22 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში ჩვენმა არტილერიამ მოპირდაპირის პოზიციებს საარტილერიო სროლა აუტეხა. ლომბარდზიდეს რაიონში ჩვენმა არტილერიამ მარჯვეთ უპასუხა მტრის ბატარეას, რომელიც ყუმბარებს უშენდა ჩვენს თხრილებს. არტუასა და ტყის სექტორში ბრძოლა ხდებოდა. აგრეთვე ბრძოლა იყო ქიუვანშისა და სომის სამხრეთ რაიონში. შამპანში, ფერმის რაიონში უსასტიკესი ბრძოლა იყო პირველათ ჩვენ გერმანელები შევავიწროვეთ ჩვენი მოწინავე თხრილებიდან, რომელიც გუშინდელ აქით მათ ეჭირათ, მაგრამ ფრიად სასტიკი და გაცხარებული ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა შესძლეს ზოგიერთი პუნქტის დაკავება. მეორე იერიში მტრისა ჩვენი სექტორის წინააღმდეგ ლაკურტინთან მარჯვეთ მოვიგერიეთ. ვოგეზებში განახლდა საარტილერიო სროლა. ვოილიოს რაიონში მედგარი ბრძოლა იყო სასანგრო ნაღმებით.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 23 ოქტომბერი. მთავარი ბინის ცნობა. მოულოდნელი იერიში მტრის ქვეითა ჯარისა ჩვენის პოზიციების წინააღმდეგ ვაგიზოში ზეცევკისა და მანაგის სათავესთან მოგერიებულ იქნა.

ასევე უნაყოფოთ დარჩა მტრის ცდა პანტაფელის დაკავების შესახებ ფელის ხეობაში. იზონცოს ფრონტის გასწვრივ სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა გუშინდელი დღის განმავლობაში იმის შემდეგ, როგორც კი ზოგორში თხრილები გაწმენდილი იყო დახოცილ მტრის გვამებისაგან. ჩვენ დავიკავეთ საჭირო პუნქტი, რომლის დასაბრუნებლადაც მტერმა რამდენჯერმე კონტრიერიში მოიტანა ჩვენზე. გორიცის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მაღლობებზე, განსაკუთრებით ოსლავიის გარშემო, მწვავე ხასიათის ბრძოლა იყო. პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა. მტერმა დაკარგა 132 ჯარის კაცი და სამი ოფიცერი. კარსოსთან კარგი გამაგრებული და ხშირი მავთულიანი ხლართებით დაფარული მტერი, რომელსაც მოხერხებულათ ეხმარებოდა ბატარეია, ჩვენს შეტევას აჩერებდა. რკინის გზით მიმოსვლა ბრეზინო-რევილეს შუა ტანდა-თან ძლიერდება. მტერმა მაშველი ჯარი მიიღო, რომ ხელი შეეშალოს ჩვენს შეტევას. გუშინ ჩვენი მედგარი იერიშები სასანგრო მუშაობით [illegible], რასაც ძლიერ უშლიდა ხელს კოკისპირული წვიმა გუშინ ჩვენ [illegible] თხრილები და ხელში ჩავიგდეთ დაახლოებით 100 ჯარის კაცი, 3 აფიცერი, ორი ტყვიის მფრქვეველი და სამხედრო დავლა.

22 ოქტომბერს ღამით საშინელი ქარიშხალი იყო. ერთმა ჩვენმა გიდროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა მტრის ბანაკში. გიდროპლანი პროჟექტორის საშუალებით შენიშნული იყო და სროლა აუტეხა, მაგრამ იგი უვნებლათ მტერმა დაბრუნდა.

# ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### სერბიის წინააღმდეგ.

შვეიცარიის გაზეთების ცნობით, სერბიის ფრონტზე ამ ჟამათ მოქმედებენ: 1) გენერალ კოვესის ჯარი, რომელიც ავსტრიელებისა და გერმანელებისაგან შესდგება, სულ ოთხი კორპუსი; 2) ფონ გალვიცის ჯარი, $3^1/_2$ კორპუსი, გერმანელებისაგან შემდგარი, რომელთა შორისაც ბავარელების ბევრი პოლკია. ხმებია,—სვენდრიის მიდამოებში კიდევ მესამე არმიას ადგენენო.

### გერმანელების ზარალი.

„ჟურნალ დე ჟენევეს“ სამხედრო მიმომხილველი პოლკ. ფეილერი აღნიშნავს, რომ ფრონტის განგრძობის მიხედვით გერმანელთა ზარალი მეტულობსო. ამ ჟამათ გერმანელთა ზარალი უდრის 54 ნაწილს გერმანეთის მცხოვრებლებისას, მაშინ როდესაც რუსეთის ზარალი მისი მცხოვრებლების საერთო რიცხვის მიხედვით უდრის 1/146 ნაწილს, საფრანგეთის—1/91 და ინგლისის—1/341, ახალშენების ჯარებს გარდა. ფეილიერის აზრით გერმანეთს შეუძლია განაგრძოს ომი კიდევ ერთ წელიწადს, საფრანგეთს—2 წელიწადს, რუსეთსა და ინგლისს კი უფრო მეტს.

### ოსმალეთის ჯარი ფრაკიაში.

გაზეთ „გაზეტე ლოზანე“-ს ცნობით, ოსმალეთის მეოთხე კორპუსის სარდალი პერმეჟ ფაშა თავისი შტაბით სმირნიდან ფრაკიას გაემგზავრა. იგი დანიშნულია ოსმალეთის იმ ჯარის ხელმძღვანელათ, რომელიც ბულგარეთს მიდის დასახმარებლათ. ამ მაშველი ჯარის შესადგენათ ოსმალეთმა მოაგროვა ყველა თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომი 15 წლიანებიდან დაწყებული. ოსმალეთი ბულგარეთში გზავნის თითქმის 150000 ჯარის კაცს.

### ვილჰელმი და ზავი.

კოპენჰაგენის პოლიტიკურ წრეებში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამერი-

# პატარა ფელეტონი.

ვუძღვნი სუდში მოსამსახურეებს.

რა გლახა არის ჩვენი ხელობა,
სწერე „კოპიო“, „ლისტი“ უწყება,
და ელაქუცე, უფროსს აამე
პირში უცინე არ გაგიწყრება.

— —

მშიერი მუცლით მუდამ ერთგვარათ,
აქ გვარი სწერე, და იქ ნომერი,
და თან იფიქრე დღეს ვის აამო
ან გაგიწყრება ნეტავ რომელი?

— —

გრძნობას მოდალავს და მოუდუნებს,
ერთგვარი კალმის ჩქარი სრიალი
კარს ვინც გააღებს მისჩერებიხარ,
ნეტავ რა უნდა! ან და ვინ არი?..

— —

ვინ შეგიბრალებს, რომ გითანაგრძნოს,
გამოერევა ათასში ასი,
რომ სთქვას საბრალოს ამდენ შრომისთვის
ნამდვილ მიეცეს შრომისა ფასი...

— —

იქნებ, სიმშილმა სინიდისს სძლიოს,
და მით გაგხადოს, "მოსე მწერალი",
კაცს მოატყუო „მე გაგიკეთებ“...
„ეგ შენი საქმე კარგათ ვერ არი“...

***

მაგრამ რას ვჩმახავ, ვინ გაგიგონებს,
კატაც შესჩხავის სავსე თაროსა,
სჯობს ისევ ვსწერო „კოპიო“, „ლისტი“,
ხაზი ხაზს მისდევს, ასო ასოსა...

**ხარაგოულელი.**

# მთებში.

**დრამატიული ეტიუდი.**

ძღვნათ ტ—ს.

**მოქმედნი პირნი.**

გულნარა. ლევან

დედა და მოხუცი

(გაზაფხულია. ყვავილებით მორთული მდელო,
შორით მოსჩანან მთები. აქა იქ მიიკლაკნებიან მთის ნაკადულები).

**ლევან.** (შემოდის) არ სჩანს... სად არის? შვენება ყვავილთ გვირგვინით მკულისა,
დედოფლურ მაღალ ქველობით გამკურნებული წყლულისა,
შვენებით მზისა სადარი, თანსწორი ობოლ სულისა,
სიამის მფენი, სპეტაკი, მფარველი ბედით კრულისა,
რისთვის არ ესმის ვედრება ძიებით მოქანცულისა?...
მე ტრფიალი ვარ სიცოცხლით ედემს ყვავილთა რგულისა...
იგია ჩემი სამოთხე, ჩემი მზე, ჩემი მთვარეცა,
მისთვის ყველაფერს ავიტან, თუნდ ვლიდე გულ-მწუხარეცა,
უდაბნოთ მექცეს სიცხადე, სამშობლოს არე-მარეცა,
სინანულის ჟამს ფიალით თუნდ შხამი შევსვა მწარეცა.
ოღონდ ვ ხილო ლივლივი, მელნის ტბათ გიშერტევრისა
ვარდის ღაწვთ ეშხით ლაღობა, მკერდის ჩქერება თეთრისა,
ლალ—ტუჩთ ღიმილი მზის ეშხზე, სხივ-მფრქვევი მარწყვის ფერისა
ალვად ტანისა რხევანი, ხმა სირინოზის მღერისა?
მან დაიმონა ეს გული, ქვეყნად მის მეტი არვინ მსურს;
ნისლს თეთრად აშლის მზის ტანზე მიჯნურთ გულისთქმით ანაცურს
დავსწნავ შვენებას გვირგვინათ, სხივთა ცვალით ანაწურს,
და ჩემ სულის კერპს მიუძღვნი ცვარ—მარგალიტით დანაპკურს...

(ფიქრს შემდეგ მღერის).
სით რა-რიგ ქრის აქ მდებში ნელი,
ლოცვად იკმევა ყვავილთ სურნელი,
ყვავილთ ტბათ ტოკავს წალკოტი ვრცელი,
მზის სხივთა სვეტზე სდგას სარეცელი,
აი აქ ლაღობს ჩემი გულნარა,
ისე ირხევა სითო სულ წყნარა.
აქ სიყვარულის ცრემლები ღვარა
და სულის სწორიც აქ შეიყვარა.

(აღტაცებით). ოჰ სულის კერპო! ვფიცავ შეყრის ჟამს, ვფიცავ პირველ წამს სიყვარულისას
ვფიცავ უკვდავ სხივს წმინდა გრძნობათა გულში იმედათ ჩასახულისას.
რომ მეყვარები, ჩემს თავს გიმსხვერპლებ, ხედავ ლამაზო, ზვარაკათ ვქმნილვარ,
ხედავ ლამაზო, შენ თვალთა ისრით მე სასიკვდილოთ მკერდში დავჭრილვარ.
(დაქანცული ქვას მიეყრდნობა, ღ ფიქრს მიეცემა, თავს მოუსვენრად გრძნობს შფოთავს
ბორგავს, იტანჯება. ამ დროს სვავებ ბარიდან ამოქანებიან და იქვე მახლობელ მდგარ
მაღალ ხესთან, დეეშვებიან. ლევანი ჩახმახს მოზიდავს და სვავს მოჰკლავს.
ხესთან მივა ნელის ნაბიჯით და დაინახავს რა ადამიანთა ძვლების
შეკრთება და უკან გამობრუნდება გამოჩნდება გულნარაც).

**გულნარა.** ეს რა მოსვლაა? რად ღელავს... რად ბორგავს ასე მწარედა?
რად დაძრწის. ვერდარ ისვენებს რად ქმნილა გულმწუხარედ,
ლევან!... აქა ვარ აქ მოდი, წალკოტის მარცხნივ მხარედა,
აქა ვარ შენი ტრფიალი, გაშლილ ნარნარ მთვარედა,
(ლევანს არაფერი არ ესმის).
(მიუახლოვდება). ლევან ვერა სჭვრეტ შენსა მზეს გიახლოვდება სულ წყნარა
მიამბე რისთვის, რად შფოთავ ასე მწარედა

**ლევან** (შეკრთება). გულნარა!...

**გულნარა.** ჰო და ვერ მხედავ? აქავარ ქაბუკო შეკრთი რაზედა?
მე აქვე ახლოს ვიყავი ყვავილებს ვკრეფდი მთაზედა,
ცრემლი ვანამე თაიგულს, ოცნების ფერად ფრთაზედა,
და მოგიტანე შენ, ლევან, შენი მზის სილამაზედა...

**ლევან.** ჩემო მზევ! ჩემო მთვარევ... ჩემო სიცოცხლეს ვარსკვლავო,
მომიახლოვდი ჰე ტურფავ... ოქროს ყანისა თავ—თავო...
შენზედ ვფიქრობდი, ამ წუთას... ჩემი სევდების საფლავო.
გულნარა აღტაცებით გადაეხვევა,

**გულნარა.** ლევან სთქვი, ნურას მიმალავ, გაფიცებ წმინდა სიყვარულს.
რა სევდა შემოგწოლია და რა გინაღვლებს მწარედ გულს,
მიამბე ყველა შენს ტრფიალს, მიამბე შენსა სიხარულს,
გაფიცებ თვით ჟამს ტრფობისას, ჩემთან ნურას იქ დაფარულს.
გახსოვს, რომ შეგვხვდი პირველად ქვევით წალკოტის კარადა,
ყვავილს, რომ ვკრეფდი, ნარნარად მოვირხეოდი წყნარადა,
ჩემი წკრიალა ხმათ სიტკბო ღნებოდა მთა და ბარადა,
ლაღი ვიყავი, ლაღობა მიყვარს მაღალ მთებში მარადა...

კის ელჩის აუდიენციამ ვილჰელმთან ბერლინში. ფიქრობენ, რომ აუდიენცია ზავის საკითხებს შეეხო. ვილჰელმის სურვილია ამ საკითხის შესახებ პირდაპირი დამოკიდებულება იქონიოს ვილსონთან. შერთებული შტატები მზათ არის ხელი შეუწყოს ზავის ჩამოგდებას, მხოლოდ იმ პირობით, თუ უკეთუ ზავის მოთხოვნის ინიციატივა ოთხთა შეთანხმებისაგან იქნება წამოყენებული.

რომიდან მოსული ცნობით, ბიუროვი ამ ჟამათ ლიუცერნში იმყოფება და პაპის განსაკუთრებულ ელჩთან ერთად იმუშავებს ზავის წინადადების მუხლებს, რომელსაც პაპი გადასცემს ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს.

### სომეხთა ცხოვრება.

ზეიტუნიდან გადაასახლეს ყველა სომეხი სოგონიოსა და ალეპოში, სადაც შიმშილისაგან და სიცივისაგან უმოწყალოთ იხოცებიან.

### საბერძნეთის კაბინეტი.

„სოკოლოს“ ათინელი კორესპონდენტი საყურადღებო ცნობას იძლევა საბერძნეთის კაბინეტის შემადგენლობის შესახებ.

სახალხო განათლებისა და სამეურნეო ნაწილის მინისტრი ტეოტოკისი და შინაგან საქმეთა მინისტრი გუნარისი აშკარა გერმანოფილები არიან. ფინანსთა მინისტრი დრაგუმისი წინააღმდეგია საბერძნეთის აქტიური გამოსვლისა. იუსტიციისა და გზათა მინისტრი რალისი წინააღმდეგია სალონიკში დესანტის გადასხმის შესახებ, ხოლო თვით ზაიმი კი მომხრეა ნეიტრალიტეტის დაცვისა.

### რუმინეთში.

კვირას გამართულმა მიტინგმა ნათლათ გამოარკვია, რომ მთავრობას მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვს ხელი შეუშალოს ოპოზიციას, რომელიც ცდილობს რუმინეთი ოთხთა შეთანხმების სასარგებლოთ გამოიყვანოს. რადგანაც ბუქარესტის გარნიზონის იმედი არ ქონდა მთავრობას, პროვინციიდან მოიწვია ჯარი და დააყენა ქალაქის ყველა ქუჩაში. სალდათებსა და ხალხს შორის შეტაკება მოხდა. შეტაკების დროს ბევრი დაიჭრა. მოკლულია ერთი.

რადგანაც ოპოზიციამ გადასწყვიტა არ იმოქმედოს ჯარის წინააღმდეგ მანიფესტანტებით დაკმაყოფილდენ გერმანელების მომხრე პირებთან ბინების შუშების ჩამტვრევით, მთავრობის პრესა დასცინის მიტინგის ინიციატორებს და არწმუნებს, რომ ხალხი თანაუგრძნობს მთავრობას და ოთხთა შეთანხმების მხარეს მხოლოდ მცირე ჯგუფი არისო.

პირველი, რასაც ოპოზიცია ელტვის, ეს კაბინეტის შეცვლაა, ამიტომ გადაწყვეტილია მედგრათ იბრძოლონ ბრატიანოს წინააღმდეგ, რომელიც რუმინეთის ორაზროვან პოლიტიკას აწარმოებს. ოპოზიციამ იმედი დაკარგა ბრატიანოსადმი და მის ყოფნას მთავრობის წრეში დამღუპველათ სთვლის, როგორც რუმინეთისათვის, ისე ოთხთა შეთანხმებისათვის ბალკანეთში.

### სამხედრო ტერორი.

რუმინული გაზეთები ასწერენ იმ სიმხეცეს, რომელსაც ტრანსილვანიის მცხოვრებლებისადმი ხმარობენ უნგრეთის მოხელენი ტრანსილვანიაში გამეფებულია სამხედრო ტერორი. დარჩენილ მშვიდობიან მცხოვრებლებს, ქალებსა და ბავშვებს, რომელნიც ჯერ კიდევ 15 წლისანი არ არიან, ჯარის კაცების ქვეშ გზავნიან სხვა და სხვა ადგილში თხრილების ამოსაღებათ.

### სამხედრო გეგმა.

ტურნა—სევერინიდან იტყობინებიან, რომ ფელდმარშალ მაკენზენის ჯარი, რომელიც ამ ჟამათ მორავიის ხეობაში მოქმედებს, თანახმათ გერმანეთის მთავარი შტაბის მიერ შემუშავებული გეგმისა, უნდა შეუერთდეს ოსმალეთის ჯარს ეგვიპტის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ, და ამით თავზარი დასცენ ინგლისელებს.

### ეგვიპტის ქედივი.

პარიზიდან შვეციის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ ოსმალური გაზეთების მიერ გავრცელებული ხმების გამო, რომ ოსმალეთი ემზადება ეგვიპტეში შესასევათო, ეგვიპტის ქედივმა მიმართა ინგლისის მთავრობას და სთხოვა 500000 ჯარისკაცი გადასცენ მის განკარგულებაში ოსმალეთის შესევის საწინააღმდეგოთ.

### მოლაპარაკების შეწყვეტა.

მთელი პრესა გულგრილათ შეხვდა ინგლის-შვეციის შორის მოლაპარაკების შეწყვეტას.

„სტოკჰოლმ დეგბლადი“-ს აზრით, მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ დამოკიდებულება არ შეიცვლება, თუ ინგლისი არ მოითხოვს ნეიტრალიტეტის დარღვევას, რაც არცერთი მხარისთვის სასარგებლო არ იქნებაო. „Dagens nyheter“ ხაზგასმით აღნიშნავს ამ ორი სახელმწიფოს კეთილ განწყობილებას და დასძენს, რომ ინგლისი უთოდ შეიგნებს, თუ რად არ შეეძლო დაეკმაყოფილებია მისი სურვილები შვეციის მთავრობასო.

თითქმის ყველა გაზეთი იმ რწმენას გამოსთქვამს, რომ მოლაპარაკებამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო მხოლოდ იმიტომ, რადგანაც შვეციის მთავრობამ დიდი გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა.

# ქრონიკა

რ უ ს ე თ ი.

ამ ჟამათ იხილვენ პროექტს ორკლასიან სამხედრო სასწავლებელში მიღების შესახებ. დღევანდლამდი ამ სასწავლებელში ღებულობდენ ისეთ პირებს, რომელთაც გათავისუფლებული ქონდათ საშუალო სასწავლებლის ექვსი კლასი, ახალი პროექტის ძალით, მიიღებენ ორკლასიან სამხედრო სასწავლებელში ისეთ პირებსაც რომელთაც დასრულებული ექნებათ სამოქალაქო ორკლასიანი ან ექვსკლასიანი სასწავლებელი.

---

სახალხო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სრულიად რუსეთის პედაგოგიურ საზოგადოებას, გამოარკვიოს გადმოხვეწილ მასწავლებელთა საჭიროება, რომელნიც გადმოხვეწილი არიან ცენტრალურ გუბერნიებში და მოაწყონ მათთვის დასახმარებელი ორგანიზაცია. ამავე დროს სამინისტრო დაპირდა საჭიროების მიხედვით სუბსიდიის მიცემას. თუმცა განსაკუთრებული თანხა ასეთ მასწავლებელთა დასახმარებლათ სამინისტროს ამ ჟამათ არ აქვს, მაგრამ იგი ამ დღეებში წარუდგინეს მინისტრთა საბჭოს კანონპროექტს გადმოხვეწილ მასწავლებელთათვის საჭირო თანხის გადადების შესახებ.

მიიღო რა ეს წინადადება პედაგოგიური საზოგადოების საბჭომ, სამინისტროს აცნობა: საბჭოს უკვე მიღებული აქვს ცნობები ვორონეჟიდან, სმოლენსკიდან და სხვა ქალაქებიდანაც, სადაც უმთავრესათ თავმოყრილი არიან გადმოხვეწილი მასწავლებლები, რომ გადმოხვეწილები დიდ გაჭირვებას განიცდიანო. ადგილობრივი ადმინისტრაცია მათ სთხოვს კეთილსაიმედოების მოწმობას და უამმოწმობოთ კი არსად ღებულობენო.

---

# ქართული პრესა.

„საქართველო“ სამართლიანად სწერს 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ იმის „ათის წლის არსებობის შემდეგ“.

მეტად მძიმე პირობებში მოუხდა რუსეთს 17 ოქტომბრის მანიფესტის დღესასწაული. ასეთ ვაი-ვაგლახში იუბილეებისთვის ვერ იცლის ერი. მას უფრო საგულისხმიერო საზრუნავი აქვს, ვიდრე თუნდ ასეთი მნიშვნელოვანი აქტის დღესასწაულია. უეჭველია, სხვა დროს სხვაფრივ იდღესასწაულებდნენ. როგორ, რა სახით, ამ ჟამად პარადოქსები დაგვჭირდება, ეს კი არც იმდენად სასურველია. ვიტყვით მხოლოდ, რომ დღეს-დღეობით მაინცა და მაინც რუსის ხალხს საიუბილეო არა აქვს რა. ან რა იდღესასწაულოს, რომელი კონსტიტუცია, ან რა ჰქვია ამ კონსტიტუციას, რას იძლევა ეს 17 ოქტომბრის მანიფესტი, ეს ის მანიფესტი, რომელსაც აგერ ათი წელია შინჯავენ, აკრიტიკებენ და დღემდი არც რუსეთისა და არც უცხო ერის იურიდიულ მეცნიერებას გადაწყვეტილი სახელწოდება ვერ მიუცია. არის ის ძირითადი კანონი რუსეთის ახალი ცხოვრებისა, განსაკუთრებული ინსტრუქცია მონარქისა თუ წინასწარი პროგრამა საკონსტიტუციო რეფორმების შემოსაღებად? ათი წელია ამ მერყეობაში სცხოვრობს რუსეთი. მას აქვს ერთგვარი პარლამენტი, სახელმწიფო სათათბირო, რომელიც აგერ ეს ათი წელია სცოცხლობს ვაი-ნაჩრობით, დოროშევიჩის მოსწრებულ სიტყვისა არ იყოს, დაუმთავრებელ შენობად დარჩა და ამიტომაც არ გვიკვირს, თუ რუსულ კონსტიტუციონურ ოფიციალ არსებობას არა ოფიციალი და ფრიად გამოურკვეველი სახე ეძლეოდა.

რეფორმების ნაცვლად მხოლოდ ქაღალდზედ დაწერილი და აუხდენელი სურვილები დავინახეთ. როგორც ვიცით, 17 ოქტომბრის მანიფესტით რუსეთის ქვეშევრდომთ მიეცათ პიროვნების ხელშეუხებლობა, სინიდისის თავისუფლება, თავისუფლება სიტყვის, კავშირების, მონა პოლიტიკური—თავისუფალ მოქალაქის სახელწოდებას ატარებდა. ერთი სიტყვით, საქვეყნოდ გამოცხადდა და კანონიერად აღიარებულ იქნა ყოველივე ის, რაც ღვთისა და სალის გონების მიერ ყველა ადამიანის გულის ფიცარზე უწმიდეს ცნებად უნდა იყოს აღნიშნული მაგრამ როდიჩევის თქმისა არ იყოს, პოლიტიკური თავისუფლება კრამოლის სინონიმად გახდა. რეაქციამ მოსპო, ყველა საკონსტიტუციო დებულებანი, აბუჩად აიგდო ხალხის წარმომადგენლობა. მისმა უგნურმა ქარიშხალმა წარხოცა თვით განახლების სურვილიც კი. განა გასაკვირველი იქნება, თუ ყველა ამის შემდეგ ახალგაზდა რუსეთის ნორჩი სული უმწეოდ კვნესას დაიწყებდა და დახავსებულ რეჟიმით გულგატეხილი უთავბოლოდ გაჰყვებოდა ყოველგვარ ქარიშხალს? სად იყო სისაღე? სად იყო კონსტიტუციის ნამდვილი ხული? სათათბიროც და პარლამენტიც მხოლოდ ევროპულ გემოვნების მიბაძვით გამოჭრილი ქურქი იყო, ისიც უხეირო დერციკის მიერ, ასე რომ გარღვეულ იღლიებიდან აშკარად მოსჩანდა ძველი რეჟიმის ხავსმოდებული მხარ- ბეჭი.

კომენტარიები საჭირო აღარ არის.

---

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ამას წინათ ქუთაისში გამოაკრეს უმაღლესი ბრძანება მეორე ხარისხის (ლურჯ ბილეთიანების) ჯარში გაწვევის შესახებ. როგორც სარწმუნოთ გადმოგვცეს. ეს განკარგულება კავკასიასჭარ შეეხება და შეცთომით იყო გამოცხადებული.

◆ ქუთ. რეალური სასწავლებლის შენობაში მოხდება ამა სასწავლებლის მოწაფეთა მშობლების წინასწარი თათბირი ამ კრებაზე უნდა ამოირჩიონ მშობელთა წრე და დელეგატები პედაგოგიურ საბჭოში დასასწრებლათ.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ქ. ოჩემჩირესა, სოფელ გოგორეთსა, (ოზურ. მაზრა). აკეთსა, ვანსა, (ქუთაისის მაზ). ჩოხატაურსა და ძირულაში გაიხსნას მომხმარებელი საზოგადოებანი: „ოჩემჩირის საზოგადოება“. „სხივი“, „მეგობარი“ „იმედი“ და „სახალხო დუქანი“.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან: შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქ. ქუთაისში გადატანილიყო იმპერიის საევაკუაციო ადგილებიდან სასწავლებლები, მეფის მოადგილემ არ შეიწყნარა, კავკასიის სამხედრო ოლქიდან არც ერთ სასწავლებელი არ გადმოვა.

◆ 12 ოქტომბერს ჭიათურისა და ს. რგანს შუა გზაზე ბნელში მოუკლავთ იპოლიტე კავთელაძეს და ვლადიმერ სამხარაძეს. სამხარაძემ დევთრგვერით დასჭრა მძიმეთ თავში კავთელაძე

◆ წყალ გაღმა მცხოვრებლებს ქუთაისის ქალაქის ინჟინერმა ოქმები შეუდგინა ვისაც თავიანთ სახლების წინ ქვაფენილი გაუკეთებელი ქონდა.

◆ ბალახვანის მცხოვრებნი სჩივიან, რომ ქუჩების შესახვევები გაბინძურებულია და ყურადღებას არვინ აქცევს.

◆ 26 ოქტომბერისათვის დანიშნული ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომა შემდეგ დროისათვის გადაიდვა.

◆ ჟანდარმთა სამართველოს განკარგულებით გაზ. „კუტაისკია ვესტის“ რედაქციიდან წაიღეს იმ გაზეთის ნუმერი რომელშიდაც მოთავსებული იყო ქალაქის მოურავის დეპეში მოსკოვის ქალაქის თვით-მართველობისადმი . თანაგრძნობის გამოცხადების გამო.

◆ **უგზო უკვლოთ დაკარგული ჯარის კაცები.** სერგი და პანტელეიმონ მაღლაკელიძე ვანის საზოგადოების მცხოვრებნი მსახურებდნენ 141 მაჟარის პოლკში I ბათალიონსა II როტაში და თუ ვინმემ იცის ამ ჯარის კაცების ამბავი გვთხოვენ შეგვატყობინონ ქუთაისში მეხეთის ქუჩაზე პარმენ კებულაძეს.

◆ დღეს 25 ოქტომბერს ქალაქის თეატრში „**ქართულ დრამის**“ ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა, „**ჯამბაზები**“ უმთავრესი როლები დასის საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული.

მზადდება **ილიას საღამო**.

◆ ჩვენი ცნობილი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე ამ დღეებში პეტროგრადს მიემგზავრება კახეთის რკინის გზის საქმეების გამო.

◆ დღეს, 25 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, შავი ქვის მრეწველთა დარბაზში დანიშნულია კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის რეპეტიცია, რომელზედაც საბოლოვოდ უნდა გამოირკვეს კონცერტში მონაწილეთა რაოდენობა. ჯერჯერობით მონაწილეთა რიცხვმა 150 მიაღწია. კიდევ მიიღება 50 მომღერალი. ვისაც მონაწილეობა სურს უსათუოდ დღეს უნდა გამოცხადდეს, თორემ შემდეგ ხოროში არავის მიიღებენ.

◆ 23 ოქტომბერს ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობამ დაადგინა ამ მოკლე ხანში ქუთაისის გუბერნიის ყველა განყოფილებების წარმომადგენელთა კრება მოიწვიონ. თუ რა საკითხები უნდა გაირჩეს ამ კრებაზე ამის შედგენა მიანდვეს საგამომცემლო სექციას.

---

# რათ გვიყვარს ჩვენ ცახელი?

**რედაქციისაგან.** მოგეხსენებათ, რომ ყველა ცოდვის შვილები ვართ. ყველასა გვყავს მტერ—მოყვარე. (უფრო კი მტრები, ვიდრე მოყვრები) მაგრამ, იმედია, ჩვენი მკითხველები იმ გარემოებას, რომ ეს მესამესა თუ მეოთხე წერილს ვბეჭდავთ პ-ნ ცახელის შესახებ, არც ერთში არ ჩამოგვართმევს.

ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ თავის ქვეყნის მოყვარულ მწერლის ნიჭი და ჰირნახულობა ტყვილათ არ იკარგება და თუ დღევანდელი ღდის სიცხადე სამსალას ასმევს ჩვენ ღირსეულ მწერლებს, „ხვალე“ მაინც მადლობით მოიხსენიებს მათ..

დღევანდელი წერილი ეკუთვნის გ-ნ ცახელის მოწაფეთა ერთ ჯგუფს, რომლებიც აღტაცებით იხსენიებენ მას, როგორც პედაგოგს.

ლექსი კი ეკუთვნის ერთ დამსახურებულ კალმოსანს, რომელიც ტრიალებს იმ ჯგუფში, სადაც ცახელის ... რის პედაგოგებს აღმაცერათ უყურებენ და გამხნევება დახმარების მაგიერ—შეიძლება შურით კიდეც ასეთი მისი დამსახურება, იმ დროს, როცა მხოლოდ თავისი თავი ჰგონიათ ღირსეული პედაგოგები და ყოვლად მომზადებული მექართულეები, თუმცა **შაბლონს კი ვერ** გასცილებიან.

სჩანს, ცახელისთანა „მოუმზადებელ“ მასწავლებელს უფრო ბევრის გაკეთება, შეუძლებია, ვიდრე „დიდათ მომზადებულსა“, მაგრამ მოწაფეების ჯალათსა და ქართველ—ჩინოვნიკ მასწავლებლებს.

მხოლოდ ვაი ის არის, რომ ჩვენ სკოლებში ჯერ-ჯერობით ისევ ჩინოვნიკ-პედაგოგებმა აქვთ მოწონება და წარმატება...

I.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ლიტერატურაში ცახელის ღვაწლსა და სპეტაკს პოეზიას ლაპარაკიც მეტია. ყველას გვიკითხავს მისი ნაწერები, ყველას გვიცნია მასთან, ყველა დაფიქრებულვართ მასზე.

დღეს კი ეს მწერალი ნივთიერ გაჭირვებას განიცდის და ჩვენი მოვალეობაა ვიხსნათ იგი უსიამოვნო მდგომარეობიდან და გავამხნევოთ იგი. ის გვამხნევებდა ჩვენ თავის პოეზიით და გვატკბობდა თავის ჩანგით, ახლა-კი ჩვენი რიგია.

მან ჩაგვინერგა გულში მოყვასთადმი სიყვარული და დღეს ჩვენ უნდა განვახორციელოთ იგი.

ცახელი ყოველთვის კეთილი, სულგრძელი და მოყვარული მამა იყო ჩვენი და ამიტომაც ჩვენ ყოველი ღონის ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ვუშველოთ მას.

განა მარტო იმისთვის გვიყვარს პოეტი, რომ გრძნობით სავსე ლექს-პოემებს გვაწვდის?

არა, მარტო ამისთვის არ გვიყვარს იგი?

უნდა ნახოთ ცახელი, როდესაც ბავშვები სიყვარულით გარს ეხვევიან მას და ისიც ნელის ღიმილით, წყნარის სასიამოვნო ხმით ეპასუხება მათ. უნდა ნახოთ. რა სულ განაბულათ უგდებენ მას ყურს მოწაფეები, როდესაც იგი ხსნის ახალ გაკვეთილს, რა ცეცხლი ბრწყინავს მის თვალებში, როდესაც იგი გრძნობს, რომ ათვართოვებს ბავშვების შეგნებას. ყველა ეს უნდა ნახოთ და, მაშინ, შეგიყვარდებათ პოეტი, მაშინ დააფასებთ მას, როგორც პედაგოგს და ადამიანს. მაშინ მიხვდებით რატომ უყვართ მოწაფეებს თავისი ცახელი ასე გაგიჟებით და რით აიხსნება ის მოვლენა, რომ დღევანდელ მის მდგომარეობაში მოწაფეებს სურთ ცხარე მონაწილეობის მიღება.

მაშ, ნუ გაგიკვირდებათ რომ ჩვენც მოსწყვიტეთ ეს სიტყვები ჩვენ კალამს და მოვისურვებთ, რომ ჩვენი თანაგრძნობა გამოვუცხადოთ გაზეთის ფურცლზე.

**კლასსიკები.**
(ერთი ჯგუფი.)

II.

**მწოსანს ცახელს.**

წელში გამმართა მეც, ძმაო,
შენი მოწაფის წერილმა
და გულმაც გამოიდარა,
უსამართლობით სერილმა!

—

მგოსნის შემცნობი, შემგნები
ანგელოზური სულია,
მისივე გამომთარგმელი
და მისივ მოციქულია!

—

არ შეხებია ჯერ ვისაც
ცხოვრების მღვრიი ტალღები
და არც ნაყოფი უხილავს
იმითგან გადმონაღები!..

—

ეს იმას ნიშნავს, პატივსცემ
შენ მომავალი თაობა
და, მაშ, ნურარც გულს გაგიტეხს
ზოგიერთთ არარაობა!

—

აგეთი წრფელი სალამი,
გულიდან ამომდინარი,
საუკეთესო წუთია,
წუთი, თვით შუქის მფინარი!

—

მეც მომხვდა რაღაც ნაჩინჩხლი
წინამორბედათ ხვალისა
და ამ ბარათის საწერათ
სწორეთ მან წამახალისა!

—

„გავკაჟებივარ შავბედსო“,
მახსოვს და შენგან მსმენია:
დევ გულღრძონი დაგშორდენ!
არც ძნელი დასათმენია!..

—

მოძღვარ მოწაფის შეტკბობა,—
რა სჯობს ამ სანახაობას!..
დიდება ამგვარ მოძღვარსა!
და ვაშა ასეთ თაობას!..

**გარეშეთაგანი.**

---

შემხვდი პირველ და ეს გული მსწრაფლ დაიმონე მქანხელი,
კუბოს ფიცრამდი, მინდა რომ ვატარო შენი სახელი,
აქ მთებში ლევან ტრფობის ჟამს მუდამ ბრწყინვალებს კანდელი.
შენ ხარ ოცნების ყვავილი, ჩემი მწველი და მდაგველი.
მითხარ... სთქვი ყველა... (ლევანი კვნესის) რად კვნესი გულსაკლავადა,
იქნებ სუსტად ხარ, შეუძლოთ, ან და გამხდარხარ ავადა,
შენი პირველი შეხვედრა, რომ მოხველ სანახავადა
ამ დღეს სრულიად არ ჰგავდა და არც ბნელოდა შავადა

**ლევან.** ოჰ, მზეო, მზეო, სიცოცხლევ, ბნელში მნათობო ცისკარო,
ბროლ-მკერდს ჩაგკვრივარ, მაგრამ რა ლხენად ეს ვერლარ ვიკმარო,
თუმც ჩემთვის ისევ ანათებ, მაგრამ ეჰ ვით-ლა ვ ხარო,
სისხლის ღვარი სჩქეფს ჩუხჩუხებს, ვით გულზვიადი მთის წყარო...

**გულნარა** ეჰ ხომ ეგრეა, კაცთ სისხლში სცურავს დღეს მთელი ქვეყანა,
სისხლის ცრემლებით ირწყვება თავისუფლების ტყე-ყანა.
ჭაბუკ სიცოცხლეთ შვილობა ხომ შეიწირა ჩვენგანა,
ეხლა ეს მითხარ მიცდიდი? როდის ჩამოდი ჩემთანა?

**ლევან.** მე დილით ადრე ჩამოველ აქ დამხვდებოდი მეგონა,
მსურდა ყვავილნის დაკრეფა, ცრემლებ ნანამი მეგონა,
წინ გადმეშალა სისხლის ზღვა სეფდის ჩრდილები მოვიხმე
სჩქეფდა სისხლთ ჩქერი შავ ტალღათ და უიმედოთ ვკვნესდი მე.
სამი ძმა ომში დაჭრილნი, სამნივ საშველად მიხმობდენ,
დაგლეჯილ სხეულს, ქვითინით ზარბაზნის კვამლზე იხმობდენ.
სისხლს გადმონაჩქეფს მკერდთაგან, ყვავ-ყორანთ ფრთებზე იშრობდენ
შორით მაწვდიდენ მკვნესარ ხმებს, კიდევ შვილზე ფიქრობდენ.
უმცროს ძმას, ჩემო სულის დგმავ, მაშინ რომ გამოვეთხოვე,
ის შენი ოქროს ბეჭედი თან გავატანე, ვათხოვე.
წავიდენ... დავრჩი ობლათა, სისხლის ცრემლები ვათოვე
და სახლის ჰერიც მას შემდეგ ოხერ-ტიალად დავტოვე...
იმ ჯოჯოხეთურ წუთებში მარტოდ რომ დავრჩი ქვებთანა,
შავი ყორანი ხევიდან ჩხავილით ამოექანა.
სისხლში ელება ნისკარტი, თან ძვლებიც ამოეტანა...
დაჯდა და ჯიჯგნა დაუწყო, ზევით მდგარ მაღალ ხესთანა,
მაშინ მოვზიდე ჩახმახი, ზე დავიკალი ტიალი,
ხევით აფრინდენ ყვავები, რა მთებში შექნეს ყიალი,
ყორნის შავ ფრთათა ბუმბულმა ზეცად დაიწყეს ფრიალი,
დაბნელდა ჩემთვის, დაბნელდა, მზის სხივთ შესწყვიტეს ციალი...
(ლევანი ქვითინით პირქვე დაემხობა)

(დასასრული შემდეგ)

**ლადო მაჭავარიანი.**

## საზიზღარი მკვლელობა.

სოფელ ედისეურში ამასწინათ მომხდარი მკვლელობა შემდეგნაირათ ყოფილა.

დათა ლორთქიფანიძეს ბევრი ადგილ-მამული ქონდა, ერთი—სიტყვით მდიდრათ ითვლებოდა ამ ჭრუ-მარეზე, მაგრამ ვალებში ჩავარდა და ბანკმა მიისაკუთრა.

მას ყავდა შეძლებული შვილი ჯიბილო, რომელმაც მამის ადგილები ვალისგან გამოიხსნა და თავის სახელზე დაიმტკიცა.

ამაზე მამა-შვილს შორის შური დაიბადა.

ერთ საღამოს სიმიდის რჩევისთვის გაგზავნა ჯიბილომ თავისი ნათლული ქალი მეზობლების მოსაწვევათ. ამ დროს მამამ ესროლა თოფი და მოკლა ჯიბილო. ამ მკვლელობაში მონაწილეობას ღებულობდა მისი უფროსი შვილი სარდიონი.

როდესაც მოვიდა ჯიბილოს ნათლული მოსამსახურე ქალი, რომ არ დაეყვირა ბოროტმოქმედებმა, არ გაეგოთ, მოასწრო სარდიონმა, დაკრა ჩაქუჩი და იქვე სული გაანთხევინა.

ჯიბილო ლორთქიფანიძე, კვდარი ნახეს ღელეში ჩაგდებული.

ამ ამბავის გამო დააპატიმრეს მამა, უფროსი სარდიონი, მათი ბიჭი და რამდენიმე კაცი. დათა ლორთქიფანიძე და მისი შვილი სარდიონი თავს მართლულობდენ ,,ვითომ ყაჩაღები დაეცენ და იმათ მოკლეს, ხოლო თვითონ თავს უშველესო''. წინასწარმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ამ მკვლელობაში მათ წილი უდევთ. დაპატიმრებული ბიჭი ყველაფერში გამოუტყდარა.

## პასუხის პასუხი

### ბ-ნ ი. გუნცაძეს.

წავიკითხე ბ-ნი ი. გუნცაძის პასუხი ჩემდა მიმართ „სამშობლოს“ № 148, მაგრამ რასაც ველოდი, ის ვერ ვიპოვე ნაცვლად გულახდილისა და ნამდვილი პასუხისა ბ-ნი ი. გუნცაძე ისევ კრიმანჭულით მისტუშრებს და სამტრედიისკენ მიშვერს თითს. ამ გვარი გადაკვართული პასუხი, რა თქმა უნდა, საქმის ნამდვილ ვითარებას ვერ ხსნის და ამიტომ სრულებით არ მაკმაყოფილებს. ამასთანავე მადლობას მოვახსენებ დარიგებისათვის, რაღაც სიმშვიდესა და წყრომაზე რომ ბძანებს. მხოლოდ ეს კი უნდა იცოდეს ყველამ, რომ უსამართლობა ერთგვარათ აღაშფოთებს როგორც მღვდელს, ისე ერის კაცს და ერის კაცობა არავის არ აძლევს იმ უპირატესობას, რომ შეერთებულ და ამხანაგურ საქმეს გვერდზე გაუდგეს და შემთხვევის დროს საერთოთ ნამოქმედარს მარტო თვითონ დაეპატრონოს. ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ყველა ერის კაცი ბ-ნ ი. გუნცაძესავით ფიქრობდეს და მოქმედობდეს, თორემ თქვენი მტერია ქვეყანაზე ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. აქ მარტო 24 ვაგონზე არ არის საქმე.

ყველაზე უფრო აქ საგულისხმოა ამ საქმის ისტორია და, სწორეთ მოგახსენოთ, ჩემი განზრახვა იყო და არის ამის გაცნობა საზოგადოებისათვის და ბ-ნი ი. გუნცაძის დამოკიდებულება ამ საქმესთან. ჩემის ფიქრით საჭიროა ყოველ საგანს თავისი საკუთარი სახელი ეწოდოს, რათა ყველამ იცოდეს, თუ როგორ კეთდება ჩვენში საერთო და სახალხო საქმე. ამით, მე მგონია, სამერმისოთ მაინც ჭკუას ვისწავლით.

მაშ დავიწყოთ თავიდან. ვინ არ იცის, რომ ეს სამი წელიწადი ზედი-ზედ ერთიმეორეზე უარესი შეიქნა სოფლის მეურნისათვის. მოუსავლობას თან დაერთო სხვა ათასნაირი გაჭირვება და სოფლის ხალხი დიდ უბედურებაში ჩავარდა და წელში გაწყდა. ამის შემხედვარეს, ვის ექნება ქვის გული, რომ დახმარების ხელი არ გაუწოდოს! საჭირო იყო და არის საერთო მოქმედება, რადგან ყველამ იცის, რომ შეერთებული ძალით უფრო ადვილათ და ნაკლები შრომის დახარჯვით მალე კეთდება ყოველგვარი საქმე, ვიდრე ცალ-ცალკე, ნამეტურ იმისთანა საქმეში, როგორც ხალხის გამოკვების საქმეა. ამგვარი შეერთება განეზრახათ წელს რამოდენიმე საკრედიტო ამხანაგობას. ეს მე შემთხვევით შევიტყვე მაისის პირველ რიცხვებში და მივაშურე ქუთაისს, სადაც ამხანაგობის წარმომადგენელთ თავ-ყრილობა ჰქონდათ. აღმოჩნდა, რომ წინა კვირის კრებაზე გადეწყვიტათ, მინდობილობა ბ-ნ ი. გუნცაძისათვის მიეცათ და სიმინდი მისი დახმარებით გამოეწერათ. მესიამოვნა და მეც სიხარულით შევუერთდი ამ გადაწყვეტილებას, რადგან ბ-ნ ი. გუნცაძეს ჩვენში გამოცდილი კაცის სახელი აქვს გავარდნილი და ამიტომ მის ამ საქმეში ჩარევას ყველა სრულის ნდობით და პატივისცემით მოეპყრა. სამწუხაროთ ჩვენი სიხარული ნაადრევი გამოდგა. ბ-ნმა ი. გუნცაძემ პირველიდანვე თავი შორს დაიჭირა, თუმცა შეპირებული კი იყო და მისი იმედით მოხდა ეს ყრილობა. იმ დროს, როცა შვიდი საკრედიტო ამხანაგობის, მათხოჯის, ხონის, სამტრედიის, ობჩის, წყალტუბოს, დიმისა და კურსების წარმომადგენელი ქუთაისში ვუცდიდით ფორმალური წესით ხელშეკრულობის დასადებათ, ის ტფილისში მიცადინობდა თავისთვის, ყვირილის ამხანაგობისათვის ვაგონების მიცემას. რასაკვირველია. ეს მისი ნება იყო და ამაში მას ხელს ვერავინ შეუშლიდა, მაგრამ ჩვენ რაღას გვაიმედებდა და ტყუილად გვაცდევინებდა ქუთაისში?!

საქმე რომ არ ჩაშლილიყო, მინდობილობა ისევ ერთს ჩვენგანს, ხონის წარმომადგენელს, აწ განსვენებულს მ. ქუთათელაძეს, მივეცით, რათა მას პირადათ ენახა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ბ-ნი ი. გუნცაძე და თავის მხრით მისთვის გადაეცა ჩვენი მინდობილობა. რამდენადაც ვიცი, მათ შორის კიდეც მოხდა სიტყვიერი შეთანხმება-და დახმარების აღთქმა.

ამ იმედით წარმომადგენლები დავიშალეთ და ფულების მოგროვების თადარიგს შევუდექით. მოუთმენლად ველოდით პასუხს ბ-ნი ი. გუნცაძისაგან სიმინდის მაზანდისა და გამოგზავნის წეს-რიგის შესახებ, მაგრამ პასუხი გვიანობდა. სანამ თვითონ მას არ გაუჭირდა და ჩვენც მისთვის საჭირო არ შევიქენით, მანამდი ხმა არ გაგვცა. ხოლო როცა მის მიერ საკუთრად ყვირილის ამხანაგობისათვის ნათხოვნ 22 ვაგონში მარტო 4 ვაგონი მიიღო, მაშინ კი აფრინა დეპეშა და გვითვლიდა, არიქა, მიშველეთ ჩქარა ვაგონები ითხოვეთ თქვენთვისაც და ჩემთვისაც. მაშინვე ჩვენმა წარმომადგენელმა ბ-ნ პეტრე გელეიშვილთან ერთად თხოვნა შეიტანა და ამ თხოვნაში გარკვევით იყო ნათქვამი, ვის რამდენი ვაგონი სად უნდა მისვლოდა. სხვათაშორის სამტრედიისთვის 24 ვაგონი იყო ნათხოვნი, ხოლო ბ-ნი ი. გუნცაძისათვის, ყვირილის ამხანაგობისათვის, 10 ვაგონი და ასე და ამ გვარათ სულ ყველა შვიდი ამხანაგობისათვის 59 ვაგონი. ამ ვაგონებში ზოგი ბ-ნი გუნცაძეს უნდა მისვლოდა და ზოგიც ბ-ნს უჩინეიშვილს, ხოლო ორთავეს კი ჩვენთვის სიმინდი უნდა გამოეგზავნათ, პირველს ბეის გაგზავნით, ხოლო მეორეს კი უბეოთ, ბ-ნ პ. გელეიშვილის დარწმუნებით. უმეტესი რიცხვი ვაგონებისა ბ-ნ ი. გუნცაძის სახელზე იყო დანიშნული. ამ სახით მთხოვნელები იყვნენ ბ-ნი გელეიშვილი და მ. ქუთათელაძე, ხოლო გამომგზავნად ბ-ნი ი. გუნცაძე და უჩინეიშვილი. ამ თხოვნის შესახებ შუამდგომლობა გაიგზავნა გუბერნატორისგან 30 მაისს № 1182, მაგრამ ნებართვა ძალიან დაგვიანდა. ხოლო საქმე კი მოცდას არ ითმენდა. გაჭირვებამ უკიდურესობა მიაღწია და აქა-იქ უკმაყოფილებამაც იჩინა თავი წევრთა შორის. მეტი გზა არ იყო მაცადინობა უნდა გაგვეორკეცებია. კვირა ერთი იყო და ქუთაისში ჩასვლა წერილებისა და დეპეშების აქეთ-იქით გზავნა ათასი. შრომასა და ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, დავიტანჯეთ სულიერათ, რადგან ხალხი დავაიმედეთ, სიმინდის მოტანა აღუთქვით და სიმინდი კი არსად იყო.

(დასასრული შემდეგ)

## უხვი შემოწირულება.

ბ-ნ ალექსანდრე ყიფშიძეს შემომწირველთაგან, რომელსაც არა სურს თავისი ვინაობა გამოაჩინოს მიუღია 4,500 მან. % ქაღალდები და წერილი შემდეგი შინაარსისა:

„ხაშა!

ამასთანავე გიგზავნი 4,500 % ქაღალდებს. შიშველი ვიშევ და შიშველივე ჩავალ სამარეში. ეს ფული ანდერძით მინდოდა დამეტოვებინა, მაგრამ ეხლა გაჭირვების დროა და ეხლავე ვასრულებ ჩემ ანდერძს. ცოტაზე ნუ დამემდურებით, ჩემს ქონებას ბიბლიოთეკას და მუზეუმს ვანდომებდი. თუ კიდევ ჩემს სიცოცხლეში მოვაგროვე რამ, დამატებით გახლებ.

1) 1,000 მ. რენტა ქართულ თეატრზე.

2) 1,000 მ. ჩემ კაბინეტს (ე. ი. მუზეუმს.

3) 500 მ. საეკლესიო მუზეუმს, ხელუხლებლათ.

4) 300 მ. ფილარმონიულ საზოგადოებას.

5) 300 მ. ამავე საზოგადოებას ნოტების დასაბეჭდად.

6) 300 მ. ქ. ხალხელმოქმედო საზოგადოებას.

7) 300 მ. ქართველ ქალთა სკოლას.

8) 300 მ. ქ. ლიტერატორთა სახლის ასაშენებლად.

9) 200 მ., ქ. გიმნაზიის უფასო სასადილოს.

10) 200 მ., ნიკო ლომოურის ფონდს.

11) 100 მ., ვაჟა-ფშაველას ფონდს.

სულ 4, 500 მან.

თუ დაინახო საჭიროდ სხვა საზოგადოების ხელის გამართვა, მომწერე და ფულს გახლებ. სამასი თუმნის რენტა ქართლში გავგზავნე საქველმოქმედო მიზნით. ჩემს კაბინეთს ვწირავ ათას მან. რენტით, რომ თანხა ხელუხლებელი იყოს და მხოლოდ სარგებელი მოახმარონ წიგნების შეძენას, ჩარჩოებისა და ყდების გაკეთებას და სხვ.

საეკლესიო მუზეუმს ჩემი ფული თანხად უნდა ჰქონდეს და სამი წლის სარგებელი მოახმარდეს ხოლმე ხელთნაწერის დაბეჭვდას. ნუ გამოაცხადებ ვისგან არის შემოწირული ფულები.

იყავ კარგად.

შენი ძმა №№

„სახ. ფურ“.

## პროვინციის ცხოვრება.

(ყურნალ გაზეთებიდან)

**ზუგდიდი.** დიდი ხანია, რაც ზუგდიდელებმა განიზრახეს საშუალო სასწავლებლის დაარსება. საშუალებაც გამოსძებნეს, კაცებიც ამოირჩიეს, მაგრამ დღევანდლამდე სასწავლებელი არსად სჩანს. საჭიროა დაჩქარება.

ს. დიდი-ჯიხაიში. ხალხის გაჭირვება მეტის მეტ დამაღონებელ ხასიათს ღებულობს. უფრო მწვავე საგონებელში ჩავარდა მცხოვრებნი 18 წლიანების ჯარში გაწვევამ.

სიმშილი მძინვარებს, ბავშები მინდვრისა და ტყის ხილეულით იკვებებიან. ძალიან გახშირდა ავათმყოფობა. სანოვაგე საგრძნობლათ გაძვირდა, გირვანქა პური 7—10 კ. ღირს. შაქარი და ჩაი მცხოვრებთათვის მიუწდომელი გახდა სიძვირის გამო. ამასთანავე ხურდა ფულს ვერ შოულობენ. აგრეთვე საგულისხმოა, რომ არავითარ ღონის ძიებას არ ხმარობენ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსაყვანათ. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობას და რაიმე ზომები იქნეს მიღებული.

ს. მეტეხი. (გორის მაზრა). ომისაგან გამოწვეულმა აუტანელ პირობებთან ერთად მოუსავლობამ და გამუდმებულმა წვიმებმა ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. მუშა ხელის დაკლებასთან ერთად საგრძნობლათ იკლო, სოფლათ მუშა საქონელმაც, რაც უკიდურეს მდგომარეობაში აყენებ გლეხკაცს. წვიმების გამო კიდევ გაპალეწი პური კალოზე ყრია —და ფუჭდება. კოდი პური (4 ფუთი) 10 მანეთად ფასობს.

ს. დიდი ჯიხაიში. მალე დაიწყება ახალი კანონების ძალით სოფლის არჩევნები, ყოველ ოც კაცზე აირჩევენ ერთ კაცს არჩეული პირები მთელ საზოგადოების ავსა და კარგს უნდა განაგებდენ.

**გორი.** 6 სეკტემბერს გორში მოხდა წვრილი კრედიტისა და მომხმარებელ ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა ხელმძღვანელი ბიურო რუსეთიდან პურის გადმოტანის მოსაწესრიგებლათ. მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა პური კი არსად არის. სითესლე პურსაც კი ვერ გადაარჩენენ აქაური მცხოვრებნი.

## ღია წერილი

(ქუთაისის ქართველ მომღერალთა საზოგადოებას).

თუ როგორც შემატყობინეთ, გადაწყვეტილი გაქვთ ჩემს კონცერტში მონაწილეობა მიიღოთ, სადა ხართ ან თვითონ თქვენ ან თქვენი მომღერალნი?

რეპეტიციები დიდი ხანია დაიწყო, ჩემ ხოროში მონაწილეთა რიცხვმა 150 გადააჭარბა და თქვენგანი კი დღემდის არავინ გამოცხადებულა.

წინადადებას გაძლევთ თქვენი სიტყვა აღასრულოთ და დღეს 25 საღამოს 5 საათზე მობრძანდეთ შავი ქვის მრეწველთა დარბაზში. თუ დღეს მაინც არ გამოცხადდით, მეცოდინება, რომ თქვენი ხორო ჩემს კონცერტში არ მონაწილეობს.

ქ. ფოცხვერაშვილი.

## კავკაზსკოე სლოვო“-ს რედაქტორს ი. ფ. სიმინოვს.

როდესაც მენდელ ბეილისის საქმეში ცნობილმა წრეებმა უარი სთქვეს საზოგადოდ ყველა ებრაელების წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაზე, თითქოს ებრაელებს რიტუალური მკვლელობანი სჩადიოდენ, და დაიწყეს ძებნა რაღაც უხილავი სექტისა, ისინი სწორედ ისე იქცეოდენ, როგორც თქვენ, რომელმაც მოათავსეთ წერილი ფ. სიბირსკისა „შთაბეჭდილებანი აჭარელთა დიდი პროცესის შესახებ“ (№ 17 ოქტომბრისა), და რომელსაც ზედ დაურთეთ მოწინავე წერილი 21 ოქტომბერს. „შთაბეჭდილება აჭარელთა არა საყოველთაო ღალატის შესახებ ფ. სიბირსკისა, „ღალატი დიდი უმრავლესობისა, რომელნიც... ან მოკლულია ან ოსმალეთშია წასული“, პირის ჩატკბარუნება სიტყვით: „სისხლმა იჩინა თავი“, ყველაფერი ეს იგივე ლაპარაკია სექტის შესახებ, იგივე ფაქტია უხილავებისა, იგივე კაცთა-მოძულეობა, რომლებიც ძალიან ხელ-საყრელია საზიზღარი ცილისწამების გასავრცელებლად.

არ ვიცი, ვინ არის ფ. სიბირსკი: იქნება დევნა—მისი ხელობაა. მაგრამ ლიბერალი, საუნივერსიტეტო მუშაკი, წარმომადგენელნი მწერლობისა კავკასიაში, რომლის სიტყვებიც შეიძლება გაგებულ იქმნას, როგორც აზრი ლიბერალური რუსეთისა,—ასეთი კაცი სდევნის აოხრებულ ხალხს და აღშფოთებული პრესის საპასუხოდ თხოულობს „ფაქტებს“, მაშინ, როდესაც მისი საკუთარი ფაქტები ან „მოკლულია ან ოსმალეთში წავიდნენ“, მაშინ, როდესაც მისი საკუთარი სასამართლო—დაამტკიცეთ, რომ დამნაშავენი ... .

თქვენა სწერთ, „ყვირილი ვერ ფერს გიშველით, რადგანაც ყვირილი უძლურების ნიშანიაო“. თქვენ კიდეც ისწავლეთ სიტყვები „ვერ შეგვაშინებთ“. მართალია, ყვირილი ვერ მოსპობს რუსეთის გამრყვნელ დესპოტიზმს; მაგრამ მე მაინც ვყვირი, რადგანაც გული მაქვს, რადგანაც მიყვარს რუსეთი, რადგანაც პირნი, რომელნიც ღირსნი არიან იმ სახელისა, რომელსაც აჭარლებს უწოდებენ, არყევენ რუსეთის საფუძველს.

მე უნდა დავუყვირო ხალხს, რომელსაც ცილი დასწამეს, რომ ეს მართალი არ არის. რუსეთი, განმათავისუფლებელი ერებისა, რუსეთი, რომელიც თითონაც თავისუფლდება, მხარს არ დაუჭერს „ლიბერალურ“ დევნას, არ გაიზიარებს თქვენს სიძულვილს დაჩაგრულ ხალხისადმი.

17 ოქტომბერი თქვენ ფ. სიბირსკის წერილით იღლესასწაულეთ და ამით დაამტკიცეთ, ვისაც ემსახურებით. რუსეთთან თქვენ არავითარი კავშირი არა გაქვთ.

თქვენს წერილებსა და ჩემს პასუხს სხვა-სხვა გაზეთების რედაქტორებს ვუგზავნი ცნობად. (ზ. ს.)

ი. ზდანევიჩი.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

## მატარებლების მიმოსვლა.

### ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 5 ს. 50 წ. |
| „ | — ღამის | —11 ს. 30 წ. |
| ბათომიდან | — დილის | —10 ს. 5 წ. |
| „ | — ღამის | — 2 ს. 23 წ. |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 30 წ. |
| ტყიბულიდან | — დილის | — 9 ს. 38 წ. |
| „ | — საღამოს | — 7 ს. 39 წ. |

### ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 7 ს. 55 წ. |
| „ | — ღამის | — 1 ს. 7 წ. |
| ბათომისაკენ | — საღამოს | —10 ს. — |
| „ | — დილის | — 4 ს. 27 წ. |
| ფოთისკენ | —ნაშუადღ. | — 4 ს. 14 წ. |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 40 წ. |
| „ | —ნაშუადღ. | — 4 ს. 20 წ. |

იყიდება ახალი წიგნაკები: ბ. ოცხელის და მთავრიშვილის წიგნ. მაღ., და აგრეთვე ბ. გალუსტოვის ასაკინძავ ქარხანაში.

1) მხედარი. 2) გზა და გზა. 3) უმადური. და „ესეც კიდევ სოფელს“.

იბეჭდება კიდევ და გამოვა 5) „ლიკ-ლიკი“

შეთხზული დათ. ლოლობერიძისა.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.



სწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან